ცნობის ფურცელი

№ 2264 | კვირა, 14 სექტემბერი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2264

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—4 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-151 №-რი

დღესასწაულისა გამო შემდეგი მე-2265 ნომერი გამოვა სამშაბათს, 16 სექტემბერს.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს დადგენილების თანახმად, კვირას, 14 სექტემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, წირვის შემდეგ, გარდახდილ იქმნება პარაკლისი, რათა **მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზისძეს** მიენიჭოს ავადმყოფობისაგან განკურნება და ჯანმრთელობა.

წირვა დაიწყება დილის $9^{1}/_{2}$ საათზე.

2 მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

კბილის ექიმმა

ალ. სოლოლაშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება. მიხეილის ქუჩა, № 32 (10—8)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სახელოსნო სკოლა

დაიწყებს მოქმედებას 15 სექტემბრიდან. ამ დღიდან მიიღებენ შეგირდებს და ყოველ გვარ საკერავს თეთრეულისას და ქალთა კაბებს შესაკერად.

ადრესი: ვერა, სახლი ა. გაბაშვილისა № 3 გაბაანთ ვიწრო ქუჩა. (Габаевскій переулокъ) (ო 3—3)

ფოთის საბუღალტერო კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტიკულ განყოფილებაში ფაქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამსრულებელთ თვით კურსების დამაარსებელი უჩენს ადგილს. (ნ. 0—16)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ზედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ჩიჩინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილისა, 10 ს.—11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. ზედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1.

ბრ. მ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

მ. მ. მანსვეტოვი—10 ს.—12 საათ. კვირაობით შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების ავადმყოფობანი.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ბ.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდე საღამ-საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1 მდე და საღამოობით 5—7-მდი. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე; საღამოთი 5—7 დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—6—13)

საზღვარ-გარედ

ავსტრო-უნგრეთი. იმპერატორის ბრძანებამ მთელი უნგრეთი აალელვა. ეს ბრძანება თვით მთავრობის მომხრე ლიბერალურ პარტიასაც კი არ მოსწონებია. ლიბერალურმა კლუბმა სხდომა მოახდინა და იმპერატორის ბრძანება გაარჩია. მთელმა პარტიამ, ჯგუფების განურჩევლად, დაადგინა, იმპერატორის ბრძანება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან თვით-მპყრობელ ხელმწიფის კილოთია დაწერილიო. უნგრეთი თავისუფალი ქვეყანაა, ჩვენში კონსტიტუციას აქვს ძალა და არა მეფესაო; მეფის უმაღლესი უფლება კანონზეა დამყარებული და ჩვენი პარტია არავის მისცემს ნებას, რომ კანონიერ მოთხოვნილებაზე ხმლების ჩხარუნით გვიპასუხოსო. აქამდე გადაკიდებული ტისასა და აპონიის ჯგუფები შერიგდნენ და ყველა დეპუტატი, ვინც კი სხვაგან იყო წასული, ბუდაპეშტში დაიბარეს. როცა ყველანი შეიკრიბებიან, იმპერატორის ბრძანებას ხელ-ახლად გაარჩევენ. კოშუტისა ანუ დამოუკიდებლობის პარტიამ, წაიკითხა თუ არა იმპერატორის ბრძანება, მაშინვე პარლამენტის შეკრება მოითხოვა. თითონ კოშუტიც დეპეშით დაიბარეს ბუდაპეშტში. მანამდე კი გადასწყვიტეს, ჩვენც მანიფესტებით მივმართოთ ჯარსაო. მთელს უნგრეთში დიდი აგიტაცია გამართეს და ხალხს ურჩევენ, მთავრობას გადასახადებს ნუღარ მისცემთო. ერთის თემის მმართველობამ გადასწყვიტა კიდეც, გადასახადებს აღარ გავისტუმრებთო. გადასახადების მიუცემლობა მით უფრო ეადვილება ხალხსა, რომ წლის უნგრეთის ბიუჯეტი პარლამენტს არ დაუმტკიცებია. კოშუტის პარტია ქუჩებშიაც ჰმართავს მანიფესტაციებს და მეფეს პროტესტს უცხადებს. კომიტეტის მომხრე სტუდენტებმა ქუდებზე სამგლოვიარო ნიშნები გაიკეთეს და ზედ წააწერეს „ხლოპი" (იმ სოფლის სახელია, სადაც იმპერატორის ბრძანება გამოიცა). თვით კლერიკალური სახალხო პარტიაც კი მიემხრო ამ მოძრაობას და გამოაცხადა, იმპერატორის ბრძანება—უნგრეთის ერის შეურაცხყოფააო. ერთის სიტყვით, უნგრებმა იგრძნეს, რომ იმათში ეხლა ყოველი პარტიული განხეთქილება გაჰქრა და მარტო საერთო პატრიოტული გრძნობა და აზრი-ღა დარჩა. ამ პატრიოტულმა გრძნობამ მთელი ერი შეაერთა, ფეხზე დააყენა. ბუდაპეშტი ეხლა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე, თითქო საცაა რევოლიუცია აფეთქებსო. ეშინიანთ, რომ ჯარმაც დემონსტრაციები არ მოახდინოსო, მეტადრე თუ სამხედრო სამინისტრო თავის განკარგულების შესრულებას ეცდება და ვადა-შესრულებულ ჯარის კაცებს 1 ოქტომბერს იქით ისევ სამსახურში დასტოვებს.

იმპერატორი ფრანც-იოსები და იმისი მთავრობაც შეშინებულან. ეტყობა, მთავრობას ფიქრად არ მოსვლია, რომ იმპერატორის ბრძანება ასეთ ქარიშხალს ასტეხდა უნგრეთში. ეხლა იმპერატორი ცდილობს, თავისი სასტიკი ბრძანება როგორმე სხვანაირად ახსნას; მთავრობა, ეტყობა, შეშინდა და მზადაა უნგრეთის ხალხს როგორმე მოურიგდეს.

საფრანგეთი. მაროკოში გალაშქრების თაობაზე ზომიერ რესპუბლიკელების გაზ. „ტან"-მა დასწერა წერილი და ჟორესს პასუხი გასცა. გაზეთი სწერს:

„ელზას-ლორენის საქმის შემდეგ, საფრანგეთისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა მაროკოს საქმეს აქვს. საფრანგეთმა უსათუოდ ადგილები უნდა დაიჭიროს აფრიკაში. მაროკოში იმდენს ხალხს შეუძლიან ცხოვრება და ბინის შოვნა, რამდენიც ეხლა საფრანგეთში ცხოვრებს. მაროკოს დაჭერა აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის. თუ გვინდა, რომ სხვა სახელმწიფოებს განვითარებასა და ძლიერებაში არ ჩამოვრჩეთ, ჩვენი მსოფლიო დანიშნულება შევასრულოთ და ჩვენს მოდგმასა და გონებას მტკიცე მომავალი მოვუპოვოთ. რაკი საფრანგეთმა ხმელთა შუა ზღვასა და საჰარას შუა ბერბერიის ორი მესამედი დაიპყრა, დანარჩენი ნაწილიც უსათუოდ უნდა დაიპყროს; თორემ თუ ბერბერიის მესამედს სხვა სახელმწიფოს დაანებებს, მაშინ რაც ეხლა ხელში უპყრავს, ისიც უსათუოდ დაეკარგება. ჟორესივით ჩვენც ვამჯობინებდით, რომ ჩვენი გავლენა უომრად, მშვიდობიანად გავრცელებულიყო მაროკოში. მაგრამ, სამწუხაროდ, სოციალისტი-დეპუტატი გარკვევით არ ამბობს, მშვიდობიანად, უომრად რანაირად უნდა გავავრცელოთ ჩვენი გავლენა. ასეა თუ ისე, თავდაპირველად სხვა სახელმწიფოებს უნდა ვალიარებინოთ, რომ საფრანგეთს უპირატესობა და მეტი უფლება ეკუთვნის მაროკოში. მაშ ჟორესმა ეჭვის თვალით რად შეჰხედა საფრანგეთისა, ინგლისისა და ესპანიის მოლაპარაკებას? საფრანგეთის დიპლომატია ხსენებულ საქმის ასრულებას ცდილობს და ამით მარტო თავის მოვალეობას ასრულებს. ჟორესს უფლება არა აქვს, ეს მოლაპარაკება ომის განზრახვად ჩააგდოს. ჟორესი ამბობს, საფრანგეთს არ ეკადრება, მაროკოს სულთანს დახმარება გაუწიოსო, მაგრამ საფრანგეთი ადრეც მხნედ ესარჩლებოდა ამ სულთანს. თუ საფრანგეთს რისამე მიღწევა სწადიან, ამისათვის ან სულთანს უნდა დაუჭიროს მხარი, ან აჯანყებულთ, მაგრამ საფრანგეთი, რასაკვირველია, იმის მხარეს დაიჭერს, ვინც უფრო უახლოვდება ევროპის ცივილიზაციას, ე. ი. სულთნის მხარეს. თუ ჟორესი ძალ-მომრეობის წინააღმდეგია, მაშ თვითონ გვიჩვენოს, როგორ მოვიქცეთ, რომ მაროკოში ჩვენი გავლენა მშვიდობიანად გავავრცელოთ".

მაკედონია. „დეილი ქრონიკლ"-ს შეუტყვია: ინგლისის მთავრობა მოსთხოვს ოსმალეთის მთავრობას, რომ თავის ჯარს მაკედონიაში მხეცობასა და უდიერობაზე ხელი აღებინოსო. ამას გარდა, ინგლისის მთავრობა ოსმალეთის ზღვაში ესკადრასაც გაჰგზავნისო. გაზ. „რუსკია ვედომოსტი" ამ ცნობის თაობაზე შენიშნავს: „თუ „დეილი ქრონიკლ"-ის ცნობა ტყუილი არაა, უნდა ვსთქვათ ,რომ ინგლისის დახმარება სწორედ მისწრებისავით იქნება. ოსმალების მხეცობა წრეს გადავიდა: კასტორიაში მთელი ხალხი დიდი, თუ პატარა, გაუწყვეტიათ. ევროპის სახელმწიფოები მარტო ამ ამბის გულისთვისაც უნდა გარეულიყვნენ მაკედონიის საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ, ევროპის დიპლომატიას კაცთ-მოყვარეობა მაგრე რიგად არ აწუხებს".

ქალაქი კასტორია მონასტირის ვილაეტშია. ამ ქალაქში 10 ათასი მცხოვრებელი იდგა მთელი ხალხი ზოგი მთაში გაიქცა, ზოგი ოსმალებმა გასწყვიტეს. სოფიაში ყოველ დღე საზარელი ამბები მოდის კასტორიის განადგურებაზე: კასტორიის განადგურება უტყუარი ამბავია. ამ ამბავმა მეტად აალელვა სოფიის მცხოვრებლები. ამისთანა საზარელი ამბები სავაგანაც მომხდარა. ოხრიდას ახლო, ლევანტში ამას წინად ოსმალებს ერთის ბოლგარის მღვდლის ოჯახობა მთლად ამოუწყვეტიათ. ამ ოჯახში, შვილიშვილები და ბავშვებიც რომ ვიანგარიშოთ, სულ 35 სული ყოფილა. სლივნიცას ახლო ბოლგართ მონასტერი ჯერ გაუძარცვავთ და მერე დაუნგრევიათ. რუსეთისა და ავსტრიის კონსულები მონასტირში, რაც კი შეუძლიანთ, ცდილობენ, ჯარს ხალხის ხოცვა მოაშლევინონ, მაგრამ იმათ ლაპარაკს ყურს არავინ უგდებს.

◆ „ბირჟევია ვედომოსტ"-ს სწერენ სტამბოლიდან: ხონთქარმა გერმანიის ელჩი მარშალ ფონ ბიბერშტეინი აუდიენციაზე მიიღო და დიდხანს ესაუბრა. თავის მთავრობის მინდობილებით ელჩმა შეატყობინა ხონთქარს, მაკედონიის ამბებმა ევროპის საზოგადოება ძლიერ აალელვაო; ეს აღელვება ძლიერ საშიშია ოსმალეთისათვისაო. ხონთქრის ბეჯით თხოვნით გერმანიის ელჩი 6 სექტემბერს, დილით, ვენას წავიდა და იმპერიის კანცლერს ბიულოვს ამ აუდიენციის შედეგი შეატყობინა".

„ნოიე ფრეიე პრესე" სწერს: სერესის სანჯაყში აჯანყებულნი მხნედ მოქმედებენ; ოსმალები იძულებულნი გახდნენ, სხვა ადგილებიდან ჯარი ამ სანჯაყში გადმოეყვანათ. აქამდე ოსმალები სერესის ჩრდილოეთით მოქმედებდნენ და კიდე უფრო შიარს ჩრდილოეთისკენ აპირობდნენ გალაშქრებას: მაკედონიის შუა გზაზე უნდოდათ გავლა. ეხლა კი აჯანყებულთ ისე მოახერხეს, რომ ოსმა-

ლებმა ძალა-უნებურად თავიანთი ჯარი გაჰყვეს და ზოგი რაზმები სამხრეთისაკენ გაჰგზავნეს. ის აჯანყებულნი, რომლებიც შუაგულ მაკედონიაში მოქმედებდნენ, ისარგებლებენ ამით და ოსმალებს ხელიდან გაუსხლტებიან.

◆ მას აქეთ, რაც კირკ-კილისეს სანჯაყიდან ალბანელთ რაზმები გაიყვანეს, ამ სანჯაყში მშვიდობიანობა დამყარდა და ალებ-მიცემობა განახლდა.

◆ მაკედონიისა და ადრიანოპოლის ვილაეტში ოსმალები მეგობრულად ექცევიან ბერძნებს, მაგრამ ხან და ხან ამათაც კი ცუდი დღე დაადგებათ ხოლმე. ოსმალებმა შეატყობინეს სოფ. ევკარიონის ბერძნებს, თქვენს სახლებს თავი მიანებეთ და სოფლიდან სხვაგან გადით, რადგან ეგ სოფელი, როგორც არა კეთილსაიმედო, უნდა დავწვათო. ბერძნებმაც შეასრულეს ოსმალების ბრძანება, მაგრამ, როცა სოფლიდან გადიოდნენ, ოსმალებმა ველარ მოითმინეს, თოფი ესროლეს და 15 ბერძენი მოჰკლეს. ბერძნებმა ამაზე საჩივარი შეიტანეს, მაგრამ საჩივრიდან არა გამოვიდა-რა.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი იუწყება: საბერძნეთის ელჩმა მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობას, დამნაშავე სარდლები სამაგალითოდ დასაჯეთო. ელჩმა გამოუცხადა აგრეთვე დიდ ვეზირს, თუ ოსმალეთის ჯარი ამას იქითაც ასე მხეცურად მოექცევა მშვიდობიან ბერძნებს, საბერძნეთიც თავის პოლიტიკას შესცვლის და ოსმალეთის მეგობრობაზე ხელს აიღებსო. თითონ საბერძნეთშიაც ეხლა ბევრი ჰგმობს თურმე მთავრობის პოლიტიკას და თხოულობს, ოსმალეთის მეგობრობას თავი დაანებეთო.

ახალი ამბავი

◆ 12 სექტემბერს ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კომისიამ** განაგრძო იმ თანხის განაწილება, რომელიც მოსწავლეთათვის შემწეობის აღმოსაჩენად არის გადადებული. კომისიამ სტუდენტის დიმიტრი ანდრონიკაშვილის ნაცვლად, რომელმაც სტიპენდიაზე უარი განაცხადა, კენჭისყრით სტიპენდია დაუნიშნა მოსკოვში პროფესორ გერიეს უმაღლეს კურსების ყურის მსმენელს თამარა თაქთაქიშვილს. კომისიამ დაადგინა შეიტანოს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში: ნახევარის წლის ფული შემდეგი პანსიონერებისა: ორის ძმის კეზელისა, ბაქრაძისა, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისა, იოსებ წულუკიძისა, გიორგი ვაჩნაძისა, რომანოზ ავალიშვილისა, გრიგოლ ავალიშვილისა, ევგენი რუსიშვილისა და ვლადიმერ სიმონიშვილისა; შეიტანოს აგრეთვე დარჩენილი ფული 48 მან. პანსიონერებისა პლატონ და რომანოზ ფილავანდიშვილებისა. კომისიამ შემწეობა აღმოუჩინა ტფილისის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეს სარატიკ-ოღლის და კავკასიის საბებიო ინსტიტუტის მოსწავლე ქალს ხირსელიშვილს, რომელთა მაგიერად შეტანილი იქნება სწავლის ფული ნახევარის წლისა. შემდეგ კომისიამ განიხილა თხოვნები სამკურნალო საზოგადოებისა, ქართველ-ქალთა საზოგადოებისა, ყაზბეგის სკოლის გამგისა და სხვათა. კომისიამ შეიწყნარა იმათი თხოვნები და დაადგინა: ქართველ-ქალთა საზოგადოების ქრა-კერვის სკოლას მიეცეს ერთხანად 200 მან. სამკურნალო საზოგადოებას ადგილობრივ ენებზე წიგნაკების გამოსაცემად—150 მან., ახალ-ციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების ქალთა სკოლას—200 მ. და ყაზბეგის სკოლას—150 მან. კომისიამ დაამთავრა იმ თანხის განაწილება, რომელიც შემწეობათა აღმოსაჩენად გადახდო წელს თავად-აზნაურთა კრებამ.

◆ **რკინის გზის სახელოსნოებში**, შეცვლილ წესების ძალით, შემდეგ ნაირად სწარმოებს მუშაობა. სამუშაო დღე იწყება დილის 5½ საათზე და თავდება საღამოს 5½ საათზე. აქედან საუზმისათვის გადადებულია ½ საათი, ხოლო სადილისათვის 1½ საათი. სასაუზმოდ შინ წასვლა აკრძალულია, სასადილოდ კი—არა. თუ სასადილოდ წასულმა დაიგვიანა და ვერ მოუსწრო საყვირის ხმას, იმას აღარ უშვებენ სახელოსნოში. ასე რომ ნახევარი დღე ეკარგება. ესევე ჰხდება დილის საყვირზედაც, მხოლოდ მაშინ მეოთხედი დღე ეკარგება, რადგან მეორე საყვირამდის აღარ უშვებენ მხოლოდ სახელოსნოში. კარებიდან, რომელიც დეპოს მხარეს არის, მარკებსაც ეხლა თვით „ტაბელშჩიკი“ ყველა ცეხისა ცალკე აძლევს მუშებს. ეს ტაბელშჩიკები ყველა თავის „ცეხის“ კარებთან არიან და თუ ვისმეს უნდა მუშა ხელოსნის ნახვა, უნდა მიჰმართოს კარებთან მდგომ კაცს, რომელიც შეაცილებს და გამოაცილებს ყველას. თუ თვითონ მუშა-ხელოსანს ძლიერ საჭირო საქმე რამე აქვს, უსათუოდ უნდა მიჰმართოს თვით ცეხის უფროსს ხელოსანს, რომელიც აძლევს მარკას და ისტუმრებს.

◆ 12 სექტემბერს, საღამოს 5½ საათზე, ნავთლუღის სადგურზე **საქონლის მატარებელი დაეჯახა** სამანევროდ გამოსულ მატარებელს. რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა. მსუბუქად დაშავდნენ: მემანქანე ელიფანოვი, ტეხნიკოსი ნინიშკო, კონდუქტორები ბაულინი, სარჩიმელია და პლოტნიკოვი. დაშავებულნი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ გუშინ, 13 სექტემბერს, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ გაუგზავნა კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს** ის 2000 მანეთი, რომელიც სამინისტროს მიერ 6000 მანეთის რიცხვში სამეურნეო საზოგადოების სასარგებლოდ არის გადადებული.

◆ როგორც კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს ატყობინებენ, სამურზაყანოში ბევრგან **ვენახებს ფილოქსერა** გასჩენია. საფილოქსერო კომიტეტმა გაჰგზავნა სამურზაყანოს ოლქში განსაკუთრებული მოხელე, რომელსაც დაავალა სამურზაყანოს საბოქაულოდან სოხუმის ოლქის სხვა ნაწილებში ვაზი არავის გაატანოს, რომ ფილოქსერა არ გავრცელდეს.

◆ **სტავროპოლი.** ყველას კარგად მოეხსენება, რომ ქუთაისისა და ტფილისის სემინარიებში ვაკანსიების უქონლობისა გამო ბევრი მოსწავლე ბრუნდება სახლში გულდაწყვეტილი და იცდის მეორე წლამდე, რადგან სხვა სემინარიებში რუსეთს არ იღებენ ქართველებს ლათინურ ენის უცოდინარობისა (ტფილისელებისათვის) და სხვა მიზეზებისა გამო. ერთად-ერთი სემინარიაა რუსეთში, სადაც ქართველობამ კარგად ფეხი მოიკიდა. ეს არის სტავროპოლის სემინარია. წელს აქ მიიღეს თხუთმეტი ქართველი, რომელნიც ქუთაისის სემინარიაში არ მიიღეს. ჯერ არასოდეს არა ყოფილა, რომ ამდენი ქართველი მიეღოთ. აქაურ სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ძალიანა სცდილობს ქართველებისათვის.

◆ მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა სატეხნიკო პროექტი „ჰელიოსი“-ს საზოგადოებისა ტფილისის ქუჩა-მოედნების **ელექტრონით განათების** შესახებ. საზოგადოება შესდგომია კიდეც საზღვარ-გარეთიდან საჭირო აპარატებისა და მანქანების დაბარებას.

◆ კავკასიის **შინა-მრეწველობის კომიტეტმა** განიზრახა საყურადღებო ალბომის გამოცემა. ამ ალბომში სურათები იქნება ძვირფას და საუკეთესო ხალიჩებისა. ალბომი უნდა გაავრცელონ იმ მრეწველთა შორის, რომელნიც ხალიჩების მზადებას მისდევენ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში. ალბომის გამოსაცემად საჭიროა 6000 მანეთი. კომიტეტმა ამას წინად სთხოვა სესხად ეს ფული მიწათ-მოქმედების სამინისტროს. გუშინ-წინ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა შეატყობინა კომიტეტს, რომ თქვენს შუამდგომლობას სამინისტროს სასოფლო-ეკონომიის განყოფილება განიხილავს ამ შემოდგომაზე და თავის დროზე გაცნობებთ გადაწყვეტილებასაო.

◆ გუშინ, 13 სექტემბერს, **ვერის საკვირაო სკოლის** გამგემ ა. თუმანოვ-წერეთელმა სთხოვა ქალაქის გამგეობას 100 მანეთით შემწეობა აღმოუჩინონ სკოლას. ამ სკოლაში შარშან სწავლობდა 100 კაცი. სკოლასთან ქრა-კერვისა და ხელ-საქმის განყოფილებაც იყო.

◆ ტფილისის გუბერნიის საამშენებლო განყოფილებამ განიხილა შუამდგომლობა დ. ს. ბერიძესი, რომელიც თხოულობდა ნებართვას **ვერაზე, წყნეთისაკენ ცხენის რკინის გზის გასაყვანად**. საამშენებლო განყოფილებას შუამდგომლობა მაზრის უფროსისათვის გადაუცია და დაუვალებია, მოსთხოვოს ბერიძეს პროექტი ცხენის რკინის გზისა და პირობანი ექსპლუატაციისა.

◆ განსაკუთრებულმა კომისიამ შარშან საჭიროდ სცნო 25,000 მანეთის გადადება **გორში წყლის ნაპირების გასამაგრებლად**. ამ ფულით კედელი უნდა გაიყვანონ. 18,700 მანეთი საერობო თანხიდან უკვე გადაეცა გუბერნატორს. 1000 მანეთი სამღვდელოების თანხიდან გადაიდება, 300 მანეთი გორის თვით-მმართველობამ უნდა მისცეს და 5000 მანეთიც—გზათა სამინისტრომ. მალე მუშაობას შეუდგებიან.

◆ **ქუთაისის თავად-აზნაურობას**, როგორც „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, განუზრახავს ისეთისავე საზოგადოების დაარსება ღარიბ-მოსწავლეთა დასახმარებლად, როგორიც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობასა აქვს.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა დაავალა სავაჭრო პოლიციის უფროს ზედამხედველს აცნობოს ხორცის დუქნების გამგე კომისიის თავმჯდომარეს, თუ როგორ ასრულებენ კომისიის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებს ყასბები.

◆ გუშინ ტფილისის სასაკლაოს ადმინისტრაციამ შეატყობინა ქალაქის გამგეობას ყასბებისა და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებისათვის საცნობლად, რომ სასაკლაოში 15 სექტემბრიდან საქონლის დაკვლას შეუდგებიან შემდეგის წესით: წვრილ ფეხა საკლავ საქონლის მიღებას დაიწყებენ დილის 8 საათიდან და დაკვლა გასტანს 9 საათამდე. საქონელს ბეითლები შეამოწმებენ დილის 9½ საათამდე, ხოლო მსხვილ-ფეხა საკლავი საქონელი უნდა მოჰგვარონ 9 საათიდან 10½ საათამდე და ამავე ხნის განმავლობაში მოასწრებენ კიდეც დაკვლას. ბეითლები საქონელს შეამოწმებენ 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. ღორი უნდა მორეკონ საღამოს 7 საათამდე და დაკვლას დაასრულებენ დილის 7 საათამდე. მიერთსკუმით შემოწმებას დაიწყებენ დილის 8½ საათზე.

◆ გუშინ, 13 ივლისს, თუმანოვისა და თამარის ქუჩის სახლის პატრონებმა, 28 კაცმა, საერთო თხოვნა წარუდგინეს ტფილისის ქალაქის გამგეობას. სთხოვენ, განკარგულება მოახდინოს იმათის ქუჩების მოსაკირწყლავად. ამასთან მცხოვრებნი სწერენ, რომ ქუჩების მოსაკირწყლავად საჭირო ფულის ნახევარს ჩვენ გამოვიღებთ, ხოლო ნახევარი ქალაქმა იკისროსო. რადგან შესაძლებელია ბევრმა ჩვენგანმა ეხლავე არ გამოიღოს ფული, ამიტომ გთხოვთ ფული ქნდა

ფელეტონი

—

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

პატარა ამბები და დიდი ამბები.—პატარა ამბების გმირები: აბაშის ფოსტის უფროსი.—ბ. როსტომაშვილი.—დიცის მოძღვარი.—ახალ-ქალაქის განმანათლებელნი.

„პატარა ამბები... პატარა ამბები“! წელიწადზე მეტია, ამ პატარა ამბებს სწერ; სადღაა დიდი ამბები?... ერთი დიდი ამბავი მაინც აღარსად არის“? არა ერთი და ორი მკითხველი მომმართავს ასეთის საყვედურით. მეც თვითონ ძალიან გულნატკენი ვარ ჩემს თავზე, ვემდური, რომ ხმა მაღლა არ ლაპარაკობს, არა სწერს ისეთს ამბებს, რომ შიშის ზარი მოჰგვაროს ყველას, კანკალი დააწყებინოს, დააწყევლინოს მყრალი ცხოვრება და სამოქმედოთ გამოიყვანოს... სადღა არიან გმირები, რომელთაც იციან სიკვდილი? სადღაა დიდებული საქმენი, რომელთა შორიდან დანახვასაც კი აღტაცებაში მოვყევართ და იმედით გვივსებს სულს? სადღაა სავსე ცხოვრება, ცხოვრების დუღილი, როდესაც მახინჯს ადამიანსაც კი ებადება თავის თავის რწმენა, ყველა მოძრაობს, ყველას უნდა რისიმე გაკეთება, როდესაც ადამიანებს ავიწყდებათ ყველაფერი კერძო, პირადი, ეგოისტური, პირუტყვული და მხოლოდ ძმობით, ერთობით და თავისუფლებით არიან გამსჭვალულნი?..

ნეტავი იმას, ვინც იხილავს ასეთს ცხოვრებას! კიდევ უფრო ნეტავი იმას, ვინც მონაწილეობას მიიღებს ასეთს ცხოვრებაში! ნეტავი მოხუცს სიმონს, რომელმაც იხილა იესო! ნეტავი იმ ფილოსოფოსს, რომელმაც გაიგონა საფრანგეთის გმირების ხმა და ნეტარებით წარმოსთქვა: აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენიო.

ერთი წამი ასეთის ცხოვრებისა უდრის მთელს წელიწადს მიძინებულ ცხოვრებას, ასეთი ცხოვრება ამშვენებს ისტორიას, ასეთი ადამიანები გვინათებენ გზას და მიგვიძღვებიან წინ, მიგვიძღვებიან ყველას, ვისაც კი ჩასახია გულში სურვილი ბნელიდან გამოსვლისა და მწარე უღლის გადაგდებისა...

* *

როდესაც ცხოვრება ისეთია, რომ ერთს დიდს ამბავსაც არ წამოაყენებს წინ, როდესაც მოსპობილია პირობები ძლიერის სულისათვის, დიდ-საქმისათვის და საგმირო კაცისათვის, მაშინ წინ წამოიჯგიმებიან ხოლმე მეტად სასაცილო პატარა კაცები, რომელნიც ნაცარქექიობენ და მტვერის ადენით უნდათ, ქვეყანა გააკვირვონ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნაცარქექიამ იცოდა, მის საქციელში ნამდვილად გასაკვირველი არაფერი იყო, დღევანდელს პატარა ამბების კაცებს კი ჰგონიათ, მართლა საგმირო საქმეს ჩავდივართო.

აბაშაში ფოსტა არსებობს. სწორედ რომ კარგი საქმეა ასეთი კულტურული დაწესებულება, მით უმეტეს, რომ აბაშაში ერთი კი არა, თითქმის ორი ფოსტა არსებობს: ერთი ჩვეულებრივი ფოსტის კანტორა, მეორე რკინის გზის სადგურის კანტორა. უეჭველია, ყველა იფიქრებს, აბაშელებისათვის ეგ გადამეტებული კულტურააო. მაგრამ ჩვენში ძლიერ ხშირად, როგორც მოგეხსენებათ, ბევრს დაწესებულებას კულტურული სახელი აქვს, თორემ კულტურული არც მიზანი აქვს და არც სახე. როგორც ერთი ფოსტა, ისე მეორე აბაშაში იმიტომაა დაწესებული, რომ წერილები მიიღოს და ჩააბაროს მცხოვრებლებს. მაგრამ აბაშის ფოსტებიდან უფრო ძნელია წერილების მიღება, ვიდრე.. მაგალითად, გუბერნსკი სეკრეტრის ჩინის დამსახურება.

აბაშის სადგურზე განსაკუთრებული, „ადგილობრივი მიზეზებისა მიერ“ გამოწვეული, ბეგარაა დადებული წერილების მისაღებად. ეგ არაფერი კიდევ. ბევრს ბეგარას იხდის ჩვენებური მკვიდრი და იმასაც გადაიხდიდა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ წერილების დიდი უმრავლესობა მეორე ფოსტის კანტორის სახელზე მოდის და წერილის მიღებაც აქ არის თითქმის ყოვლად მოუხერხებელი. ვთქვათ, თქვენს სახელზე უბრალო, ღია წერილია მოსული და გინდათ მიიღოთ. ვინმე რომ გაჰგზავნოთ თქვენ მაგიერ, წერილს არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ. რასაკვირველია, არ მისცემენ არც ჟურნალ-გაზეთსაც.

აუცილებლივ უნდა გამოცხადდეთ პირადათ ფოსტის კანტორის უფროსის წინაშე (არა, ვიხმაროთ უფრო რიხიანი სახელი „ნაჩალნიკი“, თორემ უფროსმა შეიძლება კიდეც გვიჩივლოს შეურაცხყოფისათვის). „ნაჩალნიკი“ გამოჭიმულია შუაში ამაყად, მედიდურად. შემოგხედავთ და ისევ ჩაღუნავს თავს, თითქოს ესეც არის მაკედონიის საქმე უნდა გადაწყვიტოსო. თქვენ მიმართავთ წერილის შესახებ.

ცოტა ხნის შემდეგ გადმოგხედავთ და მკაცრად გკითხავთ: „თქვენი სახელი და გვარი?“. დაუსახელებთ.—„თქვენი წოდება?“ გკითხავთ მერე: „ხადაური ხართ? რამდენი წლისა ხართ? ცოლიანი ხართ, თუ უცოლო? რა ქონების პატრონი ხართ? რა საქმეში ხართ ან რა ხელობას მისდევთ?“ გამოიძიებს ასე ყველაფერს და ბოლოს გკითხავთ: სამართალში იყავით მიცემული თუ არაო?“ ასეთის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ მოგთხოვთ თხოვნას. წაიკითხავს, კარგად გასინჯავს, რომ ყველაფერი სუფთად და თავის რიგზე იყოს: „ნაჩალნიკის“ ტიტული რომ მართლად იყოს დაწერილი, სტრიქონები სწორედ იყოს გაყვანილი, ზოგი ასო მსხვილი არ იყოს და ზოგი წვრილი. ამას შემდეგ უნდა წარადგინოთ პოლიციის მოწმობა, რომ თქვენ სწორედ ესა და ეს პირი ბრძანდებით. „ნაჩალნიკი“ შეამოწმებს ამ ქაღალდს და ამას მერმე, როგორც არის, გაგხდის ღირსად, რომ ჩაგაბაროთ სამ კაპიკიანი წერილი.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ აბაშის ფოსტის „ნაჩალნიკთან“ მიდის ვინმე მისი ნაცნობი და კარგი ნაცნობიც და წერილს სთხოვს. მაგრამ „ნაჩალნიკი“ წერილს არ აძლევს. „რატომ არ მაძლევ! ხომ კარგად მიცნობ, ვინცა ვარო?“ ეუბნება გაკვირვებული ნაცნობი.—კი გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად თქვენ დახარჯეთ და მერე წვენზე გაანაწილეთ და გადაგვახდევინეთო.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიაში დაცალდა გალობის მასწავლებლის თანამდებობა. ამ თანამდებობას დღემდის ბ-ნი შარაბიძე ასრულებდა. მასწავლებელმა უნდა ქართული გალობა იცოდეს.

✦ ის 600 მანეთი, რომელიც ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებით დრეზდენში გაეგზავნა გამგეობის წევრს ბ-ნ ენფიანჯიანცს, გადაიდო იმ თანხიდან, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობას აქვს ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მოსაკირწლავად.

რუსეთის ქრონიკა

✦ ივანოვო-ვოზნესენის ერთ ქარხანაში, რომელიც ვიღაც დერბენევს ეკუთვნის, მუშებმა ფული შეუგროვეს გარდაცვლილ მოსამსახურის ქვრივსა და ობლებს. ქარხნის პატრონს, ეს ამბავი რომ შეუტყვია, განკარგულება მოუხდენია, რომ ფული დაებრუნებიათ მუშებისათვის. ცხადია, რომ სასტიკ მექარხნეს მუშათა გულმტკივნეულობა, საერთო თანაგრძნობის გამოცხადება ერთგვარ გაფიცვად მიუჩნევია.

✦ ეკატერინოსლავში მოწვეულია გუბერნიის ყველა პოლიციის უფროსთა კრება.

✦ ქ. ტირასპოლიდან ატყობინებენ „ოდესკ. ნოვ.“-ს, რომ ადგილობრივ სამკერვალოებში, რომელნიც ქალებს ეკუთვნიან, რაღაც ამბავი მომხდარა: სამკერვალოთა პატრონები მუშტრებს უარს ეუბნებიან, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, არ შეგვიძლიან დანაკვეთის შესრულებაო.

✦ „ოდესკ. ნოვ.“ იუწყება, ხმა დადის, რომ საქციზო უწყება, რომელიც დღეს ფინანსთა სამინისტროს ეკუთვნის, მიწათ-მოქმედების სამინისტროში უნდა გადასცენო.

✦ პეტერბურგში შემდეგი სამწუხარო შემთხვევა მომხდარა. ერთ ახალგაზდა ქალს, ცნობილ მწერლის შვილს, ქუჩაში თავს დასცემია ვიღაც „ბოსიაკი“-მაწანწალა და ისე ღონივრად შემოუკრავს სახეში, რომ საბრალო ქალი უგრძნობლად დაცემულა მიწაზე. მხეცი-ბოსიაკი სადღაც გაპარულა.

✦ ოდესელებს შეუტყვიათ, რომ ახალ საქალაქო დებულებას, რომელიც პეტერბურგში შემოიღეს, ოდესაშიაც შემოიღებენ 1905 წელს.

✦ პეტერბურგის ხელოსანთა საზოგადოებაში შემდგარა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოებისაგან შედგენილი ახალი სახელოსნო წესდების პროექტი.

✦ ხერსონის გუბერნატორმა ათი თუმანი ჯარიმა დაადო ებრაელ ექიმ შტეინს, რომელმაც 29 ივნისს ადგილობრივ დიდ თორაში ებრაელ სიონისტთა კრება მოახდინა სიონიზმის პროპაგანდისათვის ფულის შესაკრებად.

✦ პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში უკვე დასრულებულა ეგზამენები. ინსტიტუტში და სხვა მაღალ სასწავლებლებში ყველაზე უარესად საშუალო სასწავლებლებში კურს დასრულებულთ დაუჭერიათ ეგზამენი, სამთო ინსტიტუტში 605 კაცთაგან მხოლოდ 90-ს მიუღია კარგი ნიშნები.

✦ პეტერბურგის სამკურნალო აკადემიამ უყურადღებოდ დასტოვა სემინარიებში კურს-დასრულებულთა არზები, რადგან აკადემიაში შესვლის უფლება, გიმნაზიებში კურს-დასრულებულთა გარდა, მხოლოდ რეალისტებს აქვთ. უკანასკნელთ მხოლოდ ლათინურ ენაში უნდა დაიჭირონ ეგზამენი.

✦ ნიჟნი-ნოვგოროდში ერთი არა-ჩვეულებრივი უბედური შემთხვევა მოხდა: თავი მოიკლა ვიღაც ბარანოვსკის ქალმა, რომელსაც სამი საროსკიპო სახლი ჰქონია, საქმე კარგად ვერ წაუყვანია და გაკოტრებულა. ბარანოვსკის ქალი აბანოში წასულა, ცალკე ნომერი აუღია, კარები ჩაუკეტია და რევოლვერით მოუკლავს თავი.

მეორე დილას პოლიცმეისტერთან მისულა ბარანოვსკის საროსკიპო სახლებიდან 60 ქალი და გამოუცხადებიათ, უტანისამოსოთა და უფულოდ დავრჩითო, და დახმარებას სთხოვდნენ პოლიცმეისტერს. ბარანოვსკის ქალი თურმე სრულებით არ აძლევდა ჯამაგირს ამ საბრალო ქალებს.

✦ „პრიდნეპრ. კრაი“-ში დაბეჭდილია: „ქ. ეკატერინოსლავში ხმა გავრცელდა, რომ ამ დღეებში არეულობა უნდა მოხდესო. ვაცხადებთ, რომ ეს ხმები ბოროტის განზრახვითაა გამოწვეული. ჩვენ ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, რომ არ შეიძლება რამე არეულობა მოხდეს, რადგან უწესოების ასაცილებლად საჭირო ზომებია მიღებული.“

პრესსა

სიმფეროპოლის სამოსამართლო პალატამ შემდეგი საყურადღებო საქმე განიხილა.

1902 წელს, 5 ოქტომბერს, ქ. მელიტოპოლის პოლიციის მოხელემ ვ. ბოგდანოვმა, ქურდობა დასწამა გლეხს ვ. კუზნეცოვს, თითქო მას რეიხის აფთიაქიდან ფული მოეპაროს, დაამწყვდია კუზნეცოვი საპოლიციო განყოფილებაში სამი დღის ვადით და ყოველნაირი საშუალებით სცდილობდა გამოეტეხნა და აღეარებინა დანაშაული. დღეში ორჯელ სცემდა ხელითა და ფეხით და ამისათვის აფთიაქში მოსამსახურე ფრანკი მოიხმარია. მესამე დღეს კიდევ ერთ პოლიციელისთვის დაუძახნია, წაუქცევიათ კუზნეცოვი და ისე მწარედ უცემიათ, რომ საბრალოს გრძნობა დაჰკარგვია. შემდეგ პოლიციის მოხელემ ქაფურის ზეთი მოატანინა და უბძანა პოლიციელს წაესვათ კუზნეცოვისათვის ნაცემ ადგილებზე, სიმსივნის დასაქრობად. პოლიციიდან კუზნეცოვი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, სადაც დიდ ხანს დასჭირდა წამლობა. კუზნეცოვს ძლიერ აშლილი აქვს თურმე ნერვები და მძიმე ავადმყოფობა სჭირს.

საქმის გამოძიების შემდეგ სამართალში მისცეს პოლიციის მოხელე ბოგდანოვი, აფთიაქში მოსამსახურე ფრანკი და პოლიციელი ზგურსკი. სამოსამართლო პალატამ გადაუწყვიტა ბოგდანოვს 2 თვით დაპატიმრება, ფრანკს - ორი კვირით და პოლიციელი ზგურსკი გაამართლა.

⁂

ბერლინის სასამართლოს გაურჩევია საქმე პოლ კოხის და ვექილ ედუარდ იუნგსტის შესახებ, რომელთაც ებრაელთა სარწმუნოების შეურაცხყოფა ბრალდებოდათ. უცხოეთის გაზეთების ცნობით,

კოხს გამოუცია ერთი წიგნაკი, სადაც ამტკიცებდა, ებრაელებმა უნდა აღიარონ, რომ მათი სარწმუნოება ავალებს მათ ქრისტიანთა სისხლის ხმარებასაო. წიგნაკის გავრცელებაში კოხს ეხმარებოდა ზემოხსენებული ვექილი იუნგსტი და ორივენი სასამართლოში მისცეს ებრაელთა სარწმუნოების შეურაცხყოფისათვის. სასამართლომ გაამართლა იუნგსტი, რადგან საკმაო საბუთები ვერ აღმოაჩინა მის წინააღმდეგ, კოხი კი დამნაშავედ იცნო, როგორც ყალბ და მავნებელ აზრების გამავრცელებელი, და სამის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

ესეც ახალი საბუთი, ებრაელების შესახებ უვიც ხალხში გავრცელებულ ცრუმორწმუნეობის გამაქარვებელი.

⁂

„ჟელეზნოდოროჟნიკმა“ აღნიშნა ის გარემოება, რომ რკინის გზების გამგეობანი სწორედ „ჩინოვნიკურ“ დეპარტამენტებად არიან გადაქცეულნი, სადაც ქაღალდი ნთქავს ადამიანის სულსა და გვამს. მართალს ამბობს „ჟელეზნოდოროჟნიკი“: რკინის გზის გამგეობაში რომ შეხვიდეთ, ვერც-კი მიხვდებით, რომ აქ ისეთი ცოცხალი საქმე იმართვის, როგორც მატარებლების მიმოსვლა, ხალხისა და საქონლის მოძრაობა. რამდენადაც ცოცხალია თვით გზა, იმდენად მკვდარია მისი მმართველი დეპარტამენტი:

იგი გადაქცეულა ქაღალდების ვეება მორევად. აუარებელი „პრიკაზები“, ცირკულიარები და მოხსენებანი ერთმანერთს სცვლიან და ჰნთქავენ მოსამსახურეთა სულიერ ძალ-ღონეს. ქაღალდი ქაღალდს სდევს, ხშირად ერთი მეორეს წინააღმდეგია, ერთი მეორეს გამაქარვებელი. ყოველი ახალი მოხელე მოწადინებულია უპირველესად ამ ქაღალდების სფერაში ისახელოს თავი. შემოიღოს ქაღალდების და არა საქმის რეფორმა. გამგეობაში არსებული ქაღალდების აურზაური მძიმე ტვირთად აწვება თვით გზას, გზაზე მოსამსახურეთ.

არ უნდა გვიკვირდეს, რომ რუსეთის ბიუროკრატიზმის უდაბნოში რკინის გზების გამგეობანი საამო ქალაქს წარმოადგენენ.

პატარა ფელეტონი

III

ძმაო ესიკელა!

შენმა წერილმა შენი ნახვის მსგავსად მასიამოვნა. პატარაობიდანვე გეტყობოდა, რომ კაი გულის იყავი, ტოლ-ამხანაგი გიყვარდა და კიდევ ისე გაწინამძღვრა შენმა სალოცავმა „წმინდა გიორგიმ, მტრის ჯინაზე დასრულე გოროდის კლასი და მაგისთანა დაწინაურებული კაცი ხარ! ჰაი, ბეჩა, რა ჭკვიანი ქალი იყო ცხონებული ბებია შენი ხვარამზე! აკვანშივე გეტყობოდა თურმე, რომ ქვეყნის სასახელო კაცი იქნებოდი. ერთ სახელით და დიდებით ესეც კმარა, რომ სიყრმის ამხანაგი მომიგონე და გაზეთი გამომიწერე. ეს იმიტომ უფრო მიამა, რომ შენი ნაწერი შემხვდება. ჯერ კი არაფერი წამიკითხავს შენი ხელმოწერილი, მაგრამ ისე ბევრი საინტერესო რამე სწერია.

რავა საინტერესო არაა, თუ კაცი ხარ, ინგლისის ხელმწიფე ჩვენში ჰგზავნის თურმე კაცს, რომ შეისწავლოს სწავლის სისტემა და მერე ისე ასწავლოს ინგლისელებს. განათლდით, ესიკელა, განათლდით. ეს კიდე რაა? შენ დააკვირდი იმას პეტერბურგის ინსტიტუტის დერეფანში რომ განცხადებაა გაკრული—ვინც ეგზამენი ვერ დაიჭიროთ, სამხედრო სამსახურში შემოდით, რადგან უნიჭოებსა და ლოთის კლასებს ზნეობრივათ აგამაღლებთ და გაგამდიდრებთო. იმე! ძალიანაა, თუ შენც იტყვი, ესიკელა! აწი ვინღა მოაკლას თავს სწავლას, ის არ სჯობია პირდაპირ ვინმე უჩილიშჩაში სტუკოს თავი!

ძალიან გამახარა იმ ამბავმაც მოსკოვში რომ პოეტების წრე (ობშესტვო) ყავახანაში იკრიბება. არც ჩვენ გვაწყენს ამისთანა დროს გატარება. თუ ისინი ოცდა ხუთი არიან, ჩვენს ობშესტვოს ყოველ დღე მოემატება ამდენ-ამდენი და ისეთ ამბავს ვიზამთ, რომ ყავახანას სირაჯხანად ვაქცევთ. მე შენ გეტყვი, პოეტები არ გვეშოვება! ვინ იცის, იქნება ჩვენც მოვესწროთ ამ დღეს!..

მართლა, შენ ახლა დაახლოვებული იქნები პალატის წევრებთან და პრედსედატელთან და, თუ კაცი ხარ, ერთი წაუჩამარაგე ჩემ საქმეზე. უთხარი, ჩემი ნათესავია თქვა და არ გაწყენინებენ, კი ვიცი... დრო შეურჩიე და ისე, მანიერულად გადაუკარი სიტყვა—По иску Квиріа Бочоришвили церковни земля-თქვა და მიხვდებიან.

ძმაო ესიკელა, გაზეთს ნუ გამომიდევ.

შენი ნახვის მონატრე ძმა კვირია ბოჭორიშვილი (ტახტის აზნაური).

თეატრი

ხონი. 31 აგვისტოს დასრულდა წარმოდგენები ხონის საზაფხულო თეატრში. გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში სულ გაიმართა ათი წარმოდგენა. ორი წარმოდგენა გამართეს ქუთაისის სცენის მოყვარეთ, სამი—ქუთათურ დასის მსახიობმა ხარგვიანმა, ერთი—ქუთათურ დასისვე მსახიობმა ვ. ბადანწივაძემ და ოთხი—ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა. ათ დადგმულ პიესაში ორი დრამა იყო. დრამა უფრო მომეტებულად იზიდავდა ხონის საზოგადოებას. შემოვიდა დაახლოვებით 700

ცნობ, უპასუხებს „ნაჩალნიკი“: მაგრამ პოლიციის მოწმობა?

ერთმა ნაცნობმა კ. დ—ბმა უთხრა თურმე ახირებულს „ნაჩალნიკს“: მე ხომ კარგად მიცნობთ და ვინმემ სხვამ რომ მოიტანოს მოწმობა—მე კ. დ—ი ვარო, მისცემთ მას ჩემს წერილებს და გაზეთებსო!—მივცემო, უთქვამს „ნაჩალნიკს“: რადგან ხელში მოწმობა ექნებაო...

ტყვილი, გამოგონებული ამბავი არ გეგონოს, მკითხველო, ეს ყველაფერი. მეც არ დავიჯერებდი, მაგრამ ასეთის ნამდვილის წყაროდან მაქვს გაგებული, რომ არ დაჯერება შეუძლებელია. ასე იციან დღევანდელის ცხოვრების პატარა კაცებმა. აბაშის ფოსტის „ნაჩალნიკი“ ალბად განდიდების წყურვილს შეუპყრია, „ნაჩალნიკობა“, დიდ-კაცობა სწადია, ჰგონია დიდს საქმეს აკეთებს, დიდს ამბავშია, მისი საქციელი საქვეყნო, სასახელო საქციელია, რომელიც დეპეშებმაც კი უნდა აუწყონ მთელს მსოფლიოს, რომლისათვისაც უნდა დააჯილდოვონ, და კი არ იცის, თუ ნამდვილად რა სასაცილო როლს თამაშობს დღევანდელ ცხოვრებაში.

საბრალო! იმდენად დაბრმავებულა, რომ საკუთარს თვალსა და ყურს არაფერს უჯერებს და ყოველი სიმართლე მხოლოდ პოლიციის მოწმობაზე უნდა დაამყაროს!...

⁂

საკვირველია, როგორ ამახინჯებს დღევანდელი ვითარება ზოგიერთ ადამიანებს. აბაშის ფოსტის უფროსსა და ბ. როსტომაშვილის „მოღვაწეობას“ შორის დიდი განსხვავება არ არის, თუმცა გარეგნულად თითქოს არაფერი საერთო არაა მათ შორის. მე აქ სახეში მაქვს ერთი ახალი პროექტთაგანი ბ. როსტომაშვილისა.

ბევრს აინტერესებს ქვეყნის ბედი, მისი გაჭირვების და დალხინების მიზეზი. ეტყობა, ბ. როსტომაშვილსაც აინტერესებს ჩვენის ქვეყნის ბედი: „რად არის ჩვენი ქვეყანა დაბეჩავებული, გაღატაკებული, დაგლახავებული, დაცემული, დამონებულიო?“ მიუცია თავის თავისთვის ასეთი კითხვა და დიდის აწონ-დაწონის და მოფიქრების შემდეგ ეს პასუხი მიუცია: იმიტომ რომ ჩვენი ხალხი—ნამეტურ განათლებული კლასი—მეურნე არ არისო!

ჩვენი სოფლის ხალხი ზარმაცია, ამბობს ბ. როსტომაშვილი: და ქალაქებში გარბის, რადგან იქ მუქთახორად და მსუბუქად შეუძლია ცხოვრებაო (ნამდვილად კი სოფლიდან გადის ქალაქად უფრო მუშა ელემენტი და ქალაქში მუშაობა უფრო მძიმეა, ვიდრე სოფლად). ჩვენი განათლებული პირები ხომ სოფელს ისე გაურბიან, როგორც ჟამს. მაგრამ ამას არ კმარობენ და ქადაგობენ, რომ სახალხო სკოლა არ უნდა ავრცელებდეს სამეურნეო ცოდნას, რადგან გლეხებს რაკი მეურნეობა არ ეცოდინებათ, ქალაქში გაიქცევიან ქარხნებში სამუშაოდ და ამით ხელს შეუწყობენ „დღევანდელ ბურჟუაზიულ მიმართულებასო“ (მრეწველობას).

ასეთის თეზისებიდან ბ. როსტომაშვილს ერთი დასკვნა გამოჰყავს: ჩვენი ერი ღარიბია, დაცემულია გონებრივად, ზნეობრივად, პოლიტიკურად!..

გამოიცვალეთ მიმართულება, გვირჩევს ბ. როსტომაშვილი: გავხსნათ სოფლად სამეურნეო სკოლები, გლეხები მივაჩვიოთ მუშაობას (მუშაობისაგან წელ-მოწყვეტილ გლეხებს სკოლამ უნდა ასწავლოს მუშაობა?!) დავტოვოთ ქალაქები განათლებულმა ქართველებმა, წავიდეთ სოფლად, შევუდგეთ მეურნეობას და მაშინ...

საქართველო გადაიქცევა სამოთხედ, ედემად და ამწვანდება და აყვავდება ყველაფერი, სიცოცხლე მოეფინება ყველგან, მხიარულება დამყარდება და სხვა-და-სხვ...

⁂

რა ადვილი მოსაპოვებელია ბედნიერება ზოგიერთ გულ-უბრყვილო ადამიანებისათვის!

უთუოდ ადვილად გაბედნიერების სურვილმა აიძულა დიცის სულიერი მამა იშვიათს საჩივარს, რომელიც სრულიად უსამართლოდ და უსაბუთოდ უჩივის თავის მრევლს ათას ხუთასს მანეთს (იხ. ცნ. ფურც. № 2207).

ასეთ ნაირად აგვიწერს კორესპოდენტი იმ გლეხებს, რომელთაც უჩივის თანამედროვე მოძღვარი: „სისხლი ყელში გებჯინება, როდესაც უყურებ, უპერანგოს გლეხს რუსის ფარაჯაში, რომელიც ათი-ათასგან მოკერებულ-მობრასტნილია ათას გვარი კონკებით. თეთრისა და წითელის ძაფით დაკონკილ ჩოხაში, ტლოკები ნახევრობით ტიტველი უჩანს. იმის ტანისამოსის ძაფის წვერს რომ ჩამოსწიოთ, ადამის სამოსლით დაინახავთ, ისე გაიცრიცება და დაირღვევა ბეჩავის ტანისამოსი. თვით საბრალოს ხელის სისქედ აძევს მტვერი, ტალახი, მური და ვაგლახი“!...

ასეთს შიშვლებს უნდა აძროს ტყავი (სწორედ რომ ტყავი) სულიერმა მამამ. მაგრამ ჩვენს უსამართლო ქვეყანაში ხანდახან აქა-იქ ნიმუშად მაინც გამოჩნდება სამართალი: დიცის მღვდლის საქმე მომრიგებელ მოსამართლესთან გაირჩა და ჯერ-ჯერობით ხუცესმა წააგო საქმე, თუმცა მას ახალგაზდა დიპლომატი ვექილი იცავდაო.

ვნახოთ, რას იტყვის შემდეგი ინსტანცია.

⁂

დღევანდელ პატარა ამბების გმირთა რიცხვში, უეჭველია, უნდა ჩავწეროთ ის ახალქალაქის მეაგარაკენი, რომელთაც გორის მაზრის ახალქალაქის მკვიდრთა განათლება მოუნდომებიათ ამ ზაფხულზე ახირებულის საშუალებით.

ერთი გამოჩენილი ქართველი გვარის ოჯახობა წვევია ახალქალაქის თავადებს თ-ებს და ძლიერ არ მოსწონებიათ, რომ თ-ბის ეკლესიაში ქართულად გალობდნენ და წირავდნენ: ეს რაღაც ველური წირვა და გალობაა, ჩვენს ყურებსა და ნაზ ნერვებზე ცუდად მოქმედობსო. შეუდგენიათ საკუთარი ხორო, მღვდლისთვისაც უბრძანებიათ, მომზადებულიყო საწირველად სხვა ენაზე და კიდეც შეუსრულებიათ ერთი წირვა და უგალობნიათ.

მაგრამ პირველ წირვის შემდეგ, ძლიერ დაფიქრებულან მასპინძლები თ. თ-ები. მამულიშვილობისათვის მაინცა-და მაინც გული არ შესტკივათ, მაგრამ შერცხვენიათ მაინც: ქვეყანა რომ გაჩენილა, სულ ქართული წირვა და გალობა გვესმოდა და ახლა ამის გამოცვლა სირცხვილია, რას იტყვიანო! და სტუმრებისათვის უთხოვნიათ, თავი დაგვანებეთ ახალ-მოდის წირვა-გალობითაო...

—

ტყუილი იქნება, სამეგრელოში ქართული წირვა-ლოცვა უნდა მოისპოსო?

სიტყვა

მანეთი, დაიხარჯა—550 მანეთი, დარჩა 150 მანეთი. აქედან ნაწილი გადაეცა საქალაქო სკოლას ადგილის შესაძენად, ნაწილი მოხმარდა სამკითხველოს, ნაწილის წარსულ წლის წარმოდგენების ვალის გასტუმრებას მოუნდა, ნაწილი ერგო ერთ ღარიბ მოსწავლეს. წინა წლებში, ზაფხულობით, ხშირად იყო წარმოდგენაც იდგმებოდა და ხალხიც მეტი ესწრებოდა, ვიდრე წელს. ხალხის გულგრილობა იმით აიხსნება, რომ წარმოდგენებს ისე კარგად ვერას მართვენ, როგორც წინად. გათავდა წარმოდგენები და თეატრის შენობაც დაგვინგრია თეატრის პატრონმა მ. მებუკემ, მაგრამ აღგვითქვა, თუ რიგზე მომცემთ ქირას, აგიშენებთ იმისთანა თეატრს, სადაც შეიძლებოდეს ზაფხულ და ზამთარ წარმოდგენების მართვაო. გარდა ამისა გვშორდება თეატრთან შენობის აგებას ხონის უფასო სამკითხველოს მოსათავსებლად.

ილია ბასტამე

—

ფიგნერი და საოპერო დასის არტისტები უკვე ჩამოვიდნენ ტფილისში. რეპერტუარი ეხლა დაიწყება, ხოლო პირველი წარმოდგენა სახაზინო თეატრში გაიმართება 20 სექტემბერს. წარმოადგენენ „ევგენი ონეგინს". ახალ დასში ტფილისისთვის თითქმის სულ უცნობი მომღერლებია. ტენორი ფიგნერს გარდა სამია—დარსკი, რაისკი და სელითვინი. ბარიტონი ხუთია, სხვათა შორის, ეგლახიშვილი და ამირჯანი. ბალეტი 30 კაცისაგან შესდგება, ორკესტრი 45 და ხორო 52 კაცისაგან.

—

დღეს, 14 სექტემბერს, ნიკიტინის ცირკის სადგომში ბ-ნი კ. ს. ცხომელიძე ჰმართავს კონცერტს ყრუთა საკვირაო სკოლის სასარგებლოდ. მონაწილეობას იღებენ ქალ-ვაჟთა ხორო ცხომელიძის დირიჟორობით, ა. ა. შულგინა-მესხი, ვ. ვ. ნეხოვის, ონეგინა, ნიკოლაევა და სხვანი. კონცერტი იაფ-ფასიანია.

დაბა-სოფლებში

—

მუხროვანი (გარე კახეთი). წვიმდეს და აღარ მოვიდეს წლევანდელი წელიწადი. მოუსავლიობით დაზარალებული აქაური გლეხი დიდის იმედით მოელოდა წლის მოსავალს, მაგრამ, საუბედუროდ, ბედმა უმტყუნა და დარჩა ხახამშრალი. იქამდის ნაკლებად მოვიდა აქ პური, რომ მომკტებული ნაწილი მოსავლისა ბალახად გათიბეს და თავისი საზრდო საქონელს საჭმელად დაუტოვეს. გლეხი ჰფიქრობდა, იქნება ვენახმა ცოტა მაინც ხელი შემაშველოს და ცოლ-შვილი იმან მაინც გამომიყვანოს ამ ცივს ზამთარსაო, მაგრამ, თქვენი მტერი, ვენახმაც პირი მოარიდა. ვენახები სავსებით დაინაცრა, ხილი სრულიად არ მოვიდა და ცარიელ-ტარიელი დარჩა გლეხი. რომელს ერთს დარდს გაუძლოს ამ ბედშავმა?!

ნ. თ—რაშვილი

—

სოფ. ძანსული (ართვინი). მკითხველებს ეხსომებათ, რომ სოფ. ბორჩხიდან 18 ვერსის მანძილზე ინგლისელებმა დააარსეს სპილენძის სადნობი ქარხანა. ცუდ მდგომარეობაში იყვნენ დღემდის მუშები, რადგან აქ არ მოიპოვებოდა სურსათი. ეხლა გახსნეს ყავახანები, სადაც შეიძლება კაცმა ისადილოს, მაგრამ ძლიერ ძვირად. საჭმელსაც უსუფთაოდ ამზადებენ. ნათქვამია: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთა", სწორედ ასე იქცევიან აქაურ ყავახანების პატრონნი. ამას გარდა ჩვენი ახალგაზრდობა ყავახანაში ბანქოს თამაშობასაც შეუდგა. რა დროსაც უნდა გაიაროთ მახლობლათ, გაიგონებთ ყავახანიდან ლანძღვა-გინებას.

ოზურგთელი.

—

ეწერი (იმერეთი). მთელი ერთი კვირა ჩვენსკენ განუწყვეტელი წვიმები იყო. წვიმების დაწყებამდის მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ წვიმებმა გააფუჭა სიმინდი. წელს ძლიერ ნაკლები მოსავალი იქმნება სიმინდისა. ძველ სიმინდსაც პეპელა გაუჩნდა, არავის ორი თვის სარჩოს მეტი სახლში არ დაუტოვებია, ყველამ გაჰყიდა. აქეთ-იქიდან გაიძახიან: „ძველი ქე გავყიდეთ, ახალის იმედი აღარ გვაქვს და რაღა გვეშველებაო". ამისთანა ნესტიან ზაფხულს, როგორც წელს, დიდი ხანია არ შევსწრებივართ. ერთი დღე რომ მზიანი იყო, ოთხ-ხუთი დღე განუწყვეტლივ წვიმა მოდიოდა. ყურძნის მოსავალი ჩვენში კარგი ხანია არ გვინახავს, მაგრამ წელს სხვა წლებზე შედარებით უფრო მოსხმულია. თუ ამ წვიმებმა არ წაახდინა, ზოგიერთებს მაინც მოუვა საკმაო ღვინო.

მკითხველებს ეხსომებათ წინა წერილებიდან ჩვენის საზოგადოების სკოლების ამბები. იანეთლები კიდევ უარს ამბობენ ეწერთან ერთად განაჩენისამებრ მეორე კლასისათვის შენობის ასაგებად. საკვირველი ის არის, რომ არც თავის საკუთარ სკოლისათვის ზრუნავენ იანეთლები.

„ვაის გაუყარე და ვუის შეეყარეო", სწორედ სოფლის მასწავლებლებზეა ნათქვამი. ამდენ ხანს ორიოდე გროშის აღება სოფლის მამასახლისებისაგან იყო დამოკიდებული და ხშირად სამ-ოთხ თვეს ჯამაგირს ვერ იღებდნენ და მშიერი რჩებოდნენ. ეს სამი წელიწადია, რაც ჯამაგირს ხაზინიდან იღებენ, მაგრამ აქაც ბევრი დაბრკოლება და ხარჯი ხვდება მასწავლებელს ორიოდე გროშის მიღებისთვის. ზოგი მასწავლებელი ისე დაშორებულია ქალაქს, რომ გზაში სამ-ოთხი მანეთი უნდა დახარჯოს ერთი ან ორი თვის ჯამაგირის მისაღებად. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად ჯამაგირის ასაღებად გამგზავრებული მასწავლებელი ხელ-ცარიელი ბრუნდება.

დუსმინეშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 სექტემბერი

ეკატერინოსლავი. ლოთების მოსარჩენად გამართულ სამკურნალოს ანგარიში გამოაცხადეს.

კაზანი. 15 სექტემბერს გროზნაში თერგის ნავთის მრეწველთა კრება მოხდება.

ალექსანდროპოლი. 12 სექტემბერს აღმოსავლეთ მურმანში, გავრილოვიდან ლიცამდე ტელეგრაფმა მოქმედება დაიწყო.

კიევი. შეერთებულ მეგემეთა საზოგადოებას დნეპრზე ნავოსნობის დაწყებიდან 8 სექტემბრამდე 1,600,000 მანეთი შემოსავალი ჰქონია მას აქეთ, რაც საზოგადოება არსებობს, ასეთი დიდი შემოსავალი ჯერ არა ჰქონია.

ვარშავა. ხელმწიფე-მემკვიდრე ვარშავიდან ლიბავას წავიდა.

სტამბოლი. ოსმალეთის ხელმძღვანელი წრეები არწმუნებიან, მაკედონიაში შემოსაღებ უცხოეთს წესების განსახილველად ხონთქარი დაუყოვნებლივ კომისიას დაჰნიშნავსო. კომისიის წევრებად დაინიშნებიან ორი მუსულმანი და თითო ოსმალეთის ქვეშევრდომი ბოლგარი, ბერძენი და სერბი.

ლისაბონი. მოზამბიკში თოფის წამლის საწყობს რომ უფეთქნია, 105 კაცი დაჭრილა.

13 სექტემბერი

პეტერბურგი. „ცერკ. ვედ."-ში დაბეჭდილია: „ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა ომსკის ეპისკოპოსი დაინიშნოს კოვნოს ეპისკოპოსად; მისული კი ომსკის და სემიპალატინსკის ეპისკოპოსად. „პრავ. ვესტ."-ში დაბეჭდილია განმარტება შესახებ იმისა, რომ დოღები უნდა ბუნებრივ პირობებში ჰხდებოდეს და არავითარი ხელოვნური საშუალება არ უნდა იხმარებოდეს, როგორც, მაგ. ცხენების ერთნაირი სასმელი „დოპინგ"-ის ალკოჰოლით დათრობა.

სტამბოლი. სანიტარულმა რჩევამ დაადგინა, გაისინჯოს და დეზინფექციის საშუალებით გაიწმინდოს სმირნიდან მომავალი საქონელი.

ბელგრადი. შუადღისას გათავდა პატიმართა გამოკითხვა. ესენი ნიშის გარნიზონის ოფიცრები არიან. პროკურორმა სთქვა, რომ შეთქმულობის მოთავენი იყვნენ: ნოვაკოვიჩი, ზოლოვიჩი, ლიუბომირსკი და არუდაროვიჩი; დანარჩენებს კი ბრალი ედებათ სამხედრო საწინააღმდეგო დანაშაულში, მაგრამ ის ფაქტი, რომ ისინი სხვას დაურიგებიათ, ამცირებს მათ დანაშაულს.

ნიუ-იორკი. პანამის არხის შესახებ შეკრულ პირობის ვადა 9 (22) სექტემბერს გავიდა; ეს ვადა მეტად აღარ გაუგრძელებიათ.

სოფია. ოსმალეთის კომისარმა შეატყობინა ბოლგარეთის მთავრობას სულთნის ირადე მაკედონიაში დუენის შესახებ.—მთავრობის ორგანომ „ნოვი ვეკ"-მა განუწყვეტლივ დაიჭირა მშვიდობიანობის ჩამოგდების მხარე.

დარმშტადტი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ავგუსტოვს შვილებითურთ საღამოს მოვიდნენ აქ; მათ სადგურზე დახვდნენ დიდი ჰერცოგი და აქ მყოფი უმაღლესი პირნი. ქალაქში რომ შემოვიდნენ, ქუჩაში შეკრებილი ხალხი აღტაცებით მიესალმა მათ.

ლონდონი. ბრიტანიის ელჩს ებრძანა, გადასცეს პორტას განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ არც ოსმალეთს და არც ბოლგარეთს არ უნდა ჰქონდეთ იმედი ბრიტანიის მთავრობის დახმარებისა, სანამ ისინი ფარულად ან აშკარად წინააღმდეგობას გაუწევენ უკვე ცნობილ რეფორმათა პროგრამას. ბრიტანიის მთავრობის აზრით, ეს რეფორმები წარმოადგენენ იმის მინიმუმს, რის მოთხოვნაც საჭირო იყო. ის საშუალებანი, რომლებსაც აქამდის ხმარობდნენ რეფორმების განსახორციელებლად, თუ მხედველობაში მდგომარეობის სიძნელე იქმნა მიღებული, შემდეგისათვის საკმარისი არ არის; საჭიროა მოთხოვნილ იქნას ჩქარი და ნამდვილი საშუალებები შედარებით იმ საშუალებებთან, რომლებსაც ოსმალეთის მთავრობა აქამდის ხმარობდა. ბოლგარეთის მთავრობამაც ამის მაგვარივე ცნობა მიიღო.

ფილიპოპოლი. ბოლგარეთის მთავრობა ოსმალეთის კომისართან მოლაპარაკების დროს თხოულობს საზოგადო ამნისტიას და ბოლგარელთ დევნის მოსპობას მაკედონიაში და ადრიანოპოლის ვილაეტში. ის თხოულობს აგრეთვე, რომ რეფორმების განსახორციელებლად დანიშნულ კომისიაში წევრების რიცხვის ნახევარი ბოლგარელები იყვნენ, რომ რაც შეიძლება მალე შეიმუშაონ სკოლების და ეკლესიის რეფორმის შესახებ დადგენილებანი და აღადგინონ ყველა გადამწვარი და აკლებული სოფლები.—ცხარე ბრძოლა ერესნას, მალანკის და კრატოვის მახლობლად ჯერ არ შეწყვეტილა.—იამბოლს ჯერ კიდევ აუარებელი გაქცეულები მიდიან.

პეტერბურგის ბირჟა 12 სექტემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,45
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,40
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,47½
ბირჟის დისკონტი	5-6%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	442 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	336 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ. მამ. ბანკისა	286 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადება

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში. (10—4)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის [illegible] ქუჩ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—223)

გაიმართა

ქალთა სამკერვალო

მიჩაბლისა და პოლუმორდვინოვისა. სუფთად და დროზედ ამზადებს დაკვეთილ ტანისამოსს და ყოველ გვარ ქალთა სამკაულს. აქვეა კერვისა და ჭრის გაკვეთილები.

შუა ბაზარში, ადელხანოვის მაღაზიის პირდაპირ მიმავალ შესახვევში, № 11. (4—153—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—[illegible] ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—შელანისა.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრაშვილის.	1	50
რჩ. მისიკე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ფინანსთა სამინისტროს მიერ ნება დართული

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრამიანისა

ტფილისში

აბრამიანი ავტორია „სავაჭრო, საფაბრიკო და სანავთო მრეწველობ ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი". სახელმძღვანელო მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილის მიერ.

კურსებზე ასწავლიან და ამზადებენ პრაქტიკით ორსავე სქესის მსურველთ 4½ თვეში.

სასწავლო საგნები:

1. ბუხჰალტერია ორმაგი, იტალიანურ სისტემისა, მრეწველობის ყველა დარგისთვის გამოსაყენებელი, საბანკო, სავაჭრო, საკომისიო, საქარხნო და სხვა. 2. საკომერციო არითმეტიკა. 3. საკომერციო კორესპონდენცია. 4. სავექსილო წესდება და სავაჭრო უფლება. 5. კალიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება. 6 არითმეტიკა საანგარიშებლებზე. 7. „რემინგტონის" საწერ მანქანაზე მუშაობა (სურვილისამებრ).

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულნი და საქმის სპეციალურად მცოდნენი, რომელთაც ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილი ამტკიცებს. კალიგრაფიის მასწავლებლად მოწვეულია კალიგრაფ მხატვარი.

მიღება ყოველ დღე 5-დან 7 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება 1903 წლ. 15 სექტემბერს, პერიოდულად ყოველ 4½ თვის შემდეგ, ყოველ დღე სადილთ უკან. ფასი 60 მანეთი მთელის კურსისა. გათავების შემდეგ ეძლევა ატესტატი, ნება დართული ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ. მსურველმა უნდა მიჰმართოს წერილით ან პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 46, ტელეფონი 744. წესები და პროგრამა მსურველს უფასოდ ეგზავნება. ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან გამოიწერს, ფასდადებულს არ იხდის. ცალი წიგნი ღირს 3 მან. 50 კაპ. (10—7)

Дозв. ценз. Тифлисъ 13 Сентября, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)